

შინაური საქმეები.

№ 7.

შანი მათი შაური.

წლიური ფასი სამი მან.

წელიწადი მეოთხე

უძველესი კვირეული გაზეთი.

კვირა, 27 თებერვალი, 1917 წელი.

კვირეული-კვირეული გაზეთი

შინაური საქმეები

„ხელის მოწერა მიიღება რედაქციაში, ქ. ქუთაისში (ს. ბუთიაძის ქუჩის კვ. № 17). დათბავს დათბავს სომხის ბაზარში, სიმონიანის შუშას მაღაზიაში. გამოცემა ყოველ თვეში ოთხი ნომერი, გარდა კვირკობისთვისა და მარტობისთვის, როცა გაზეთი სულ არ გამოვა. ბბ. ხელის მოწერა მხოლოდ გაზეთის ფასი მთელი წლის ერთად გამოგზავნონ.“

წლიური ფასი: 3 მანეთი. გაზეთი ღებულობს ყოველგვარ განცხადებებს.

ადრესი: ქუთაისი: „შინაური საქმეების“ რედაქცია.

შინაურსა: 1) მეთაური, — საეროსი. 2) სიტყვა, — ებ. ლეონიძისა. 3) გურია-სამეგრელოს ეპარქიის სამხრეთი კისის წესდება. 4) სინამდვილე სხვა-რებისა. 5) „კარგი უფლებები კარგია“ — რუს. გად. 6) მოწოდება. 7) წერილი რედ. მიმართ.

ქუთაისი, 27 თებერვალი.

„არა შეჯდა მწუერი ხეცა, — არა იყო კებრი მისი.“
(საღბ. ანდაზა).

ქალაქ ქუთაისის სამღვდლოებას ფებერვლის პირველ რეცხვებში კრება ჰქონდა მთავარ ანგელოსის ტაძრის მოფარდულში, რადგან აქაურ სამღვდლოებას საერთო არაფერი არა აქვს, რადგან საზოგადო სარწმუნოებრივ და წოდებრივ საკითხებზე თავს არ იტკივებენ, ამიტომ ასეთი კრებები ძალიან იშვიათია და მხოლოდ მაშინ ხდება ხოლმე, როცა მართებლობის გინკარგულების მოსმენა საჭირო და ზოგიერთ იმავე მართებლობისათვის საჭირო საეადო ქალღმერთებზე ხელის მოწერა. ასეთი კრებები საზოგადოთ არაფერს ღირსშესანიშნს არ წარმოადგენენ თავისთავად: ერთი მხრით წაკითხვა და გამოცხადება, — მეორე მხრით



თანხმობა და ხელის მოწერა, — ი სრული დახსიათება ქალაქის იმ წმ. მამების კრებებისა, რომლებიც დადგენილნი არიან მწყსად ეკლესიისა. თებერვლის პირველი რიცხვების კრებაც, რა თქმა უნდა, არაფრით განსხვავებული და ღირს-შესანიშნი არ იქნებოდა, რომ ამ კრებას არ დაერთოდა ყ-დ სამღვდლო იმერ. ეპ. გიორგის საყურადღებო ცირკულიარის *) მოსმენა. მაგრამ ამ ცირკულიარის განხილვამ და წმ. მამების მსჯავრმა ზოგიერთ იქ აღძრულ საკითხების შესახებ ღირსი გახადა ეს ყ-თა კრება, კალამი აგველო და მისი ღირსეული მსჯავრი გაზეთის ფურცლებზე გადაგველო.

სხვა საყურადღებო საკითხთა შორის ყ-დ სამღვდლო გიორგის ცირკულიარში მოყვანილია ორი საყურადღებო, დროის შესაფერი და აუცილებელი საკითხი: 1) სამარხი კასისის საჯალდებულო წევრობა და 2) იმერეთის ეპარქიის სარწმუნოებრივ-განმანათლებელ ძმობის სავადდებულო წევრობა მაგალითისამებრ ლაილაშის საბლალოჩინო მარხის სამღვდლოების გამოუთქმელ სურვილისა. ეს ორი საკითხი ისეთი რამ არსებითია სამღვდლოების ცხოვრებაში, რომელთ უარისყოფა ყ-დ შეუძლებელია სულ ცოტათ შეგნებულ სამღვდლოებისაგან; პირველი გამოხატავს გაჭირვებაში დახმარებას, ხორციელ მოწყალებას, ხოლო მეორე — სულიერ მოწყალებას, სარწმუნოების საშახურს, მის გავრცელებასა და განმტკიცებას და ეს ხომ ორივე სამღვდლოების საქმეა — განსაკუთრებით სარწმუნოების საშახურა და მისთვის თავის დადება. და ამ ორივე თავის მოვალეობას უარყოფს ქუთაისის სამღვდლოება, რითაც დაამტკიცა თავისი უკულობა, როგორც სარწმუნოებისა, ისე მოყვასისადმი, დაამტკიცა, რომ მას ჩირადაც არ მიაჩნია არც ერთი და არც მეორე, დაამტკიცა რომ მას არ ესმის თავის სარგებლობა, დასრულებით არ ზრუნავს სამწყსოსათვის. „არა შეჯდა მწყერი ხესა, არა იყო გვარი მისი“. ჩვეული არ გახლავს ქუთაისის სამღვდლოება ასეთი საქმეებისა. მას ჯერ არ უფიქრნია არც

ამ ცირკულიარის შინაარსი. „მან. საქ.“ № 3-ში

ძმით მოყვარეობაზე და არც სარწმუნოების დაცვა-განმტკიცებაზე. აბა გადახედეთ ქუთაისის სამღვდლოების მოღვაწეობის ისტორიას (!), თუ რამეს იპოვით მაგდაგვარს. რომელი კეთილი აზრი გამოსთქვა მან, რომელი ძმით მოყვარეობის ან ხალხის ზნეობა-სარწმუნოებრივ აღზრდის პროექტი შეიმუშავა და განახორციელა? რა საქველმოქმედო სახლები გააშენა, რა გლახაკთ-სამოწყალოები და სასადილოები დაარსა? რა კითხვები და საუბრები გამართა, რა წიგნთ-საცავ სამკითხველოები დაარსა, რომ მშვიერთა და მწყურვალთა სიმართლისათვის ეპოვით საზრდო და დაკმაყოფილებულიყვნენ? რა ხელმძღვანელობა და დახმარება გაუწია თავის მოძქეს-სოფლის სამღვდლოებას, რით ასაზრდოვა იგი სულიერად, რა სიღვთისმეტყველო წიგნებით გაამდიდრა სამშობლო ეკლესია, რა ზნეობა-სარწმუნოების განმამტკიცებელი წიგნაკები მოჰქინა ხალხში? ერთი სიტყვით, რით დაამტკიცა მან, რომ იგი არის ნამდვილი მწყემსი და არა სასყიდლით დადგინებული, რომელიც მხოლოდ, წინასწარმეტყველის სიტყვით, „რძესა შესქამს, და მატყლსა შეიმოსს და მსუქანთა დაჰკლავს“? და ასეთ სამღვდლოებას განა შეუძლია დაფასოს დიადი მნიშვნელობა სარწმუნოებრივ განმანათლებელი ძმობისა და საურთიერთო დახმარებისა გაჭირვების დროს? რომ შეძლებოდეს დღემდე ერთი წვერი მაინც ჩაეწვრებოდა ქალაქის სამღვდლოებიდან სარწმუნოებრივ განმანათლებელ ძმობაში, ერთ ნელთბილ სიტყვას მაინც დახარჯადა ამ სიმპატიურ დაწესებულებისათვის; რომ თავის სიკეთის და ძმით-მოყვარეობის რამე აცხელებდეს, ერთ დამხმარებელ საზოგადოებას მაინც გაიჩენდა ამოდენ ხანში! მაგრამ არა! „არა შეჯდა მწყესი ხესა, — არა იყო გვარი მისი“!

და მე რე ვინ არ იცის, რომ ქალაქის მამებში უმეტესი ნაწილი ახალგაზდა მღვდლებია, რომლებსაც თავი საზოგადო მოღვაწეთ მოჰქონდათ და მოაქვთ. მ. ბლალოჩინი, რომელიც ასე გაწიწმატებით ებლაუტებოდა ბლალოჩინობას, რომელიც არჩევნების დროს არ ფარავდა თავის უზომო მთავრობის-მოყვარეობას, გვეგონა მეტ უნარს გამოიჩენდა სა-

ზოგადო საქმეებში, გვეგონა თავს მოუყრიდა, აამოძრავ-აამოქმედებდა, საზოგადო საქმის ხალისს გაუღვიძებდა ქალაქის დასაბამიდგან მიძინებულ სამღვდლოებს. მაგრამ, ბევრი სხვა ბლადოჩინივით, იგი მხოლოდ მთავრობის განკარგულების გადაცემაში, და სხვა საბუთების ჩიქნაში, და ჩინ-ორდენების გაწესრიგებაში ჰპოებს, როგორც ჰგავს, თავის დანიშნულებას. რასაკერვლია ესე ყოველივე ჯერ არს, მაგრამ არა კმარა. საჭიროა ბლადოჩინი მეთაურობდეს ყოველ კეთილ დაწყებულებაში და ახალისებდეს სამღვდლოებს ყოველ კეთილ და სათნო საქმეზე. ამისათვის მას თავიდგან ბოლომდის შესწავლილი უნდა ჰქონდეს ის საკითხი რომელზედაც წინადადებას აძლევს სამღვდლოებს, ვისი სახელითაც უნდა იყოს ეს წინადადება! იგი მხოლოდ საკითხს კი არ უნდა აყენებდეს, არამედ ყოველი მხრივ უნდა ჰპარტავდეს და ასაბუთებდეს მის სიკეთეს, ცდილობდეს მის გატარებას და განხორციელებას — ცხოვრებაში. მაგრამ ჰგავს ჩვენ ბლადოჩინსაც კარგათ არ აქვს წარმოდგენილი მნიშვნელობა იმ დაწესებულებისა, რომლებზედაც ჰქონდა ბაასი თავის ხელ-ქვეით სამღვდლოებსთან.

„ვისაც უნდა, ჩაეწეროს!“ — აი რა გადაწყვეტილება მიიღო კრების მამებმა შესახებ სამარხ კასის და ძმობის წევრობისა! ასეთი გადაწყვეტილებისათვის მადლობას არავის ეტყვის ქუთაისის სამღვდლოების კრებას და მის ბლადოჩინს; ვისაც სურს მათ ნებადაურთველად ჩაეწერება, მაგრამ საქმე ამაში კი არ არის, საქმე იმაშია, რომ შეგნებულმა უმცირესობამ შეუგნებელი უმრავლესობა გაიყოლიოს და თვისივე სასარგებლო, ქვეყნის და საზოგადოების გამოსადეგი და სამაგალითო საქმე გააკეთოს; საქმე ერთობაში, ერთსულოვნობაშია. თუ მიზანი წმიდაა, რა გვიშლის, რომ ყველა შევიკრიბოთ მის მისაღწევ საშუალებათა მოსაპოვებლათ, მის განსახორციელებლად...?! მაგრამ ჩვენ შორის წავედით, დაგვაიწყდა, რომ მქადაგებლად არ გვინდოდა გამოვსულიყავით, ჩვენ მხოლოდ ის გვინდოდა გვეჩვენებია, რომ ჩვენ ქალაქის სამღვდლოებსა ჯიში არ აძლევს, რომ ხეზე შეჯდეს, იმადდეს, ჩვეულებრივ კალაპოტს გადაშორ-

დეს. ასე გასინჯეთ ყ-დ სამღვდლო ლეონიდეს აღდგენილი წმ. ნინო ქართველთ განმანათლებელის დღესასწაულიც კი დაივიწყეს და წმ. ნინოს ხატები შუაფების თავზე მოათავსეს საეკლესიო საღაროებში, როგორც ამას შეეხვდით ერთ-ერთ გამოჩენილ ქუთაისის ეკლესიაში, სადაც ერთი სასტიკი წესიერების დამცველი დეკანოზი მღვდლობს და მეორე კიდევ ყველასაგან მოწონებული მღვდელი დღესასწაულზე ნუღარას მკითხავთ! არსად, გარდა ნინოს დედათა ზავედენისა, წირვა არ ყოფილა და თუ იყო, მაგ. სობოროში, — ჩვეულებრივი, ასე რომ ხალხს არაფრით არ ჩვენებია ამ დღის მნიშვნელობა, არსად სიტყვა არ თქმულა, არსად საუბარი არ გამართულა, არსად ფურცლები და წიგნაკები არ დარიგებულა — უქმე კი იყო და მთელი სამღვდლოება შინ იჯდა. აი ასე ავრცელებს ქუთაისის სამღვდლოება წმიდანების პატივისცემას ხ.ლ.ში. და ამას ეძახის საქმიანობას!

როცა ასეთ სურათს ქუთაისის სამღვდლოებისას ვადარებ ლაილაშის საბლადოჩინო სამღვდლოების ნათელ სახეს, იმ სამღვდლოებისას, რომელმაც სურვილი განაცხადა საყოველთაო სავალდებულო განმანათლებელ ძმობის წევრობისა, ვამბობ, როდის დადგება ის დრო, როცა ქუთაისის სამღვდლოება გამოიხენს თანასწორ გულშემატკივრობას საზოგადო კეთილ საქმეებისადმიმეთქი. მაგრამ ამ დროს რაღაც იღუმალი ხმა ჩამძახის იმავე საბედისწერო ანდაზას: „არა შეჯდა მწყერი ხესა, — არა იყო გვარი მისი“.

საერო.

სიტყვა

ღირსი მამა შიო მღვიმელის ხსენების დღეს:
 სიყრმიდგან ფრთოვან ქნილმან, სათნოებითა წარმართე ყოველი ცხოვრება შენი, ღმერთ-შემოსილო, და სასწაულთა, ღვთისა მიერ მოცემულთა, იღვწოდ ქართველთა ერსა, რომლისა მხედველნი შენ შორის მადლთა სულიერთა, ვადიდებთ შემოქმედსა, ღირსო შიო. (ტროპარი ღირსისა).

ასე შესტრფის და შეჰხარის ჩვენი ეკლესია თავის ბრწყინვალე და გამოჩენილ სული-
 ითქვა 17 თებერვ. შიო მღვიმელის უდაბნოში.

ერ მნათობს, ღმერთ შემოსილ მამა შიოს ვინც შეჩვეულია გაგონილის და დაწერილის აზრის ჩაკვირებას, ვისაც მოთხოვნილებათ აქვს, რომ გაგონილი და ნათქვამი უეჭველად შეიგნოს და გაითვალისწინოს, მისთვის ზემო მოყვანილი სიტყვები მეტად საგულისხმო და საყურადღებონი არიან. გულისხმიერ მამენელს ღირსი მამა შიოს ტროპარის პირველი სტრიქონები ზნეობრივ მოვალეობად უდგენენ, რომ მან აუცილებლად იცოდეს და ნათლად ჰქონდეს წარმოდგენილი ხსენებული წმინდანის ცხოვრება, მოღვაწეობა და ყოფა ქცევა. როგორც შეუძლებელია, რომ ჩვენ პატივსცემდეთ და ვადიდებდეთ სრულებით უცხო და უცნობ პირს, ისე წარმოდგენელია, რომ ვისმეს შეეძლოს ღირსი შიოს ხსენების ღირსეულად შესრულება, თუ წინდაწინ არ ეცოდინება მას, ვინ იყო ღირსი შიო და რა სიკეთე შესძინა მან ქრისტიანობას. ვისაც წარმოდგენა არა აქვს ამ ღღესასწაულის მიზეზის პიროვნების შესახებ, მისთვის ასე ხშირად და გარკვევით წარმოთქმული სიტყვები: „საყრმიდგან ფრთოვან ქმნილმან, სათნოებითა წარმართე ყოველი ცხოვრება შენი, ღმერთ შემოსილო“-ს მთლათ უაზრო და მნიშვნელობას მოკლებული არიან. ამ სიტყვებმა უნდა მსმენელები სულით და გულით აღაფრთოვანონ, გაამხნეონ, გაამტკიცონ და, ამა თქვენ თითონ ბრძანეთ, რა მოახდენს ასეთს გავლენას, თუ მსმენელების გულში წინდაწინვე ამოჭრილი არ არის, ამ ღირსის სხეულ-მოსილი და კაცის გონების მიზიდველი სახე!

მაგრამ მარტო ეს არა კმარა. უნდა ვიცოდეთ ყველამ, რომ მარტო ის შრომა და ღვაწლია საღმრთო და სადიდებელი, ძვირფასი და მუდამ სახსოვარი, რომელსაც კაცი ეწევა სხვის ბედნიერებისთვის, სხვის სასიკეთოდ, სხვის სიყვარულისა და სიბრალულის გამო. ასეთი იყო სწორეთ ღირსი შიოს მოღვაწეობა

ის ლოცულობდა, მარხულობდა და ეწეოდა მოღვაწეობას ამ ბნელსა და ნოტიო მღვიმეში ქართველი ერის სულიერი სიყვარულის გამო. ამ აზრს გამოსთქვამს ეკლესია, როდესაც იგი მიმართავს წმ. შიოს სიტყვებით:

„და სასწაულთა, ღვთისა მიერ მოცემულთა, იღვწოდ ქართველთა ერსა“-ო. სულიერი სიმახინჯით უნდა ვიყოთ შეპყრობილნი, რომ წმ. შიოს საღმრთო სიყვარულს არ მივაგებოთ ჩვენი მხრით ამ გვარივე სიყვარული მისი და ნაცვლად დაუვიწყარი ხსოვნა—პატივისცემისა, გულიდან ამოვიფხვრათ მისი ხსოვნა.

შესაძლოა რომელიმე მსმენელთაგანმა გაიფიქროს: „ღიად, ღირსი მამა შიო სწორეთ საკვირველი მლოცველი და მმარხველი იყო, მისი ცხოვრება სულიერი მხნეობის ზღვას წარმოადგენდა, მაგრამ ამ მოღვაწეობას ეწეოდა ხსენებული ღირსი თავისი კერძო, პირადი სიკეთისათვის, თავისი სულის ცხოვრებისათვის და და მას მოღვაწეობის დროს სრულებითაც არა ჰყოლია სახეში ქართველი ერი, მისი მარხულობა და მღვიმეში ჩასვლა სრულებითაც არა ყოფილან გამოწვეულნი ქართველი ერის სულიერი სიყვარულით“-ო. ოო, შემტდარი და უსაფუძლო ასეთი აზრი!

* კაცი იმითია კაცი, რომ მას აქვს წარმოდგენა ღმერთზე და ცდილობს ღმერთთან დაახლოებას თავისი კეთილი და სათნოიანი ცხოვრებით. ეს მარტოდ მარტო ადამიანის თვისებაა და მას მოკლებულნი არიან დანარჩენი ქვეყნიური არსებანი. მხეცებს, შინაურ ცხოველებს, ფრინველებს და ქვემძრომებს, მაგალითად, არავითარი შეგნება არა აქვთ ღვთისა და არცა ცდილობენ თავიანთი ცხოვრების მოწყობას ღვთის საამოთ. ამ გვარად მოწყობა ცხოვრებისა, როგორც ვთქვით, მარტო კაცის უპირატესობაა და ისაა კაცობრიობის უდიდესი მოძღვარი, ისაა კაცობრიობის ნამდვილი მოკეთე და წრფელი გულშემატკივარი, ვინც თავისი საკუთარი სათნოიანი ცხოვრებით ცოცხალ მაგალითს აძლევს სხვებსაც, რომ სხვებმაც იცნონ თავიანთი შემოქმედი და კეთილი ცხოვრებით დაამტკიცონ, რომ ისინი გონებითა და პატიოსნებით აღემატებიან უგუნურ ქმნილებებს, რომ მათ თავიანთ დანიშნულებად მიაჩნიათ გონებრივი და ზნეობრივი განვითარება, შეძენა ზეციერი შამის სისრულისა და არა მარტო ხორცის ზრდა და

სიამოვნება მსგავსად, უგუნური პირუტყვობისა. ღმერთ-შემოსილი შიოს ცხოვრება ხმა მაღალი და მტკიცე ქადაგება იყო ღმერთზე, სარწმუნოებაზე, ადამიანის მაღალ დანიშნულებაზე. ამ დიდებულ გვამს გარს ეხვეოდნენ და საღმრთო კრძალულებით ეპყრობოდნენ მისი თანამემამულე ასურელები, მისი მეზობლები და ნათესავები, მაგრამ ქართველი ერის სულიერმა სიყვარულმა, ქართველი ერის ქრისტიანულმა სიბრალულმა იმის გამო, რომ იგი არ იცნობდა თავის შემოქმედს და ამის გამო მიმდევარი იყო გონებრივი სიბნელისა, დაატოვებინა საყვარელი სამშობლო, გაჰყარა ნაცნობებსა და მახლობლებს და მოიყვანა აქ, მისთვის უცხო და შორეულ ქვეყანაში, რომ ამ უღაბნოდამ მოეუენა გონება-ბნელი ქართველობისთვის ღვთაებრივი ნათელი. ასედაც მოხდა; მისი მოღვაწეობის სხივმა ჩაანათა ქართველობის გულში, მოკლე ხანში განითქვა საქართველოში შიოს სახელი, მრავალნი დაემოწაფნენ მას, შიოს ცხოვრებამ გააცნო ერს მისი შემოქმედი და აა ერს არის მიზეზი, რომ მადლიერი ეკლესია უგალობს მას: „რომლისა მხედველნი შენ შორის მადლთა სულიერთა, ვადიდებთ შემოქმედსა, ღიოსსო შიო“-ო.

იხილეთ, საყვარელო მსმენელო, რა მშვენიერათ არიან ერთი-მეორეზე აწყობილნი ღირსი შიოს ტროპარში მაღალი და შენი გონება—ზნეობის განმანათლებელი, შენი გულის გამწმენდელი და შეუცდომელი ცხოვრების გზის მაჩვენებელი აზრები! იგი გიბრძანებს შენ, რომ, თუ გსურს შეგნებულად გაატარო ეს დღე ღირსი შიოს ხსენებისა, მოვალე ხარ პირველად გაითვალისწინო მისი სულიერი ღვაწლი და შრომა, შემდეგ დააჯერო შენი გული იმაში, რომ ყოველი შრომა და მწუხარება დაითმინა მან შენი სიბრალულისა და სიყვარულის გამო, ვინაიდან მისი გულითადი სურვილი იყო მოღვაწეობითი ცხოვრებით ესწავლებინა შენთვის ღმერთთან მიმყვანებელი გზა და მიადწია კიდევ მან თავის წადილს, რადგანაც დღეს შენ უკვე იცნობ და თაყვანსა სცემ ცისა და ქვეყანის შემოქმედს, ზეციერ-

სა მამასა შენსა. დიად, ასეთია მოკლედ შინაარსი დიდებული შიოს ტროპარისა და ნეტარება მას, ვისაც ეს შეუგნია, ვინც ასეთი შეგნებით მოსულა საღმრთაწაულოთ, ვისი გულიც გრძობს, რა ამაგი მიუძღვის ჩვენზე ჩვენი ეკლესიის დღევანდელ წმინდანს!

იყო დრო, როდესაც ყველაფერი ეს მშვენიერად ესმოდა ქართველ ერს და დღევანდელ დღეს რომელიმე პატარა ჯგუფი კი არა, მთელი საქართველო, ყოველი ქართველი ოჯახი, საიდანაც კი კომლი ამოდიოდა, დიდი სასოებითა და ღმობიერებით იხსენიებდა ღირსი შიოს მოღვაწეობას. იყო დრო, როდესაც ეს ღრმა და ბნელი მღვიმე, ეს ცივი და ნოტიო ორმო, ალაგი ღირსი შიოს განსაცვიფრებელი მოღვაწეობისა. საკუთარი თვალის ჩინზედ უძვირფასესად მაჩნდა ყოველ ქართველს და იმ დროს ჩვენი ერთი ერობდა, ქართველსაც ქული ეხურა, მაშინ ქართველობა ნაშნავდა შიო მღვიმელისა, ანტონ მარტოდ მყოფელისა, დავით გარესჯელისა, იესე წილკნელისა, ისიდორე სამთაველისა და მათ მსგავსთა მოწაფეობას. მაშინ ურწმუნოება, მოყვასთა მტრობა, ქურდობა და ავაზაკობა, მეძაობა, სიმთვრალე, ქვრივობა და ღარიბ-დაცდომილთა განუკითხაობა, სამშობლოს არა სიყვარული და დავაწყება საზოგადო სარგებლობისა ქართველს მაჩნდა ჩამოთვლილი წმინდანების ღალატად.

ნაღველი მისივდება და გული შუაზე მკეპობა, როდესაც უკვირდები დღევანდელს ჩვენს ცხოვრებას და მოქმედებს. მე სახეში არა მაქვს ქალაქელების ყოფა-ქცევა, რადგანაც ქალაქელებს ყოველთვის ცოტად თუ ბევრად თვისებად ჰქონათ ზნეობასთან უნძრახად ყოფნა, არა, უფრო სავალალოდ და საწყენად მჩრება სოფლელების დღევანდელი ზნეობითი დაქვეითება. ქურდობა, ლოთობა, ერთი-მეორის შეუბრალებლობა, შური და მტრობა, სრული დავიწყება ცოდო—მადლისა, მკვდრებისა და ცოცხლების უშვერი ლექსებით ღანძღვა-გინება, აი რას ნახავთ დღეს ქართველ სოფელში, აი რითი ცხოვრობს და რითი ერთობა დღეს ქართველი სოფელი.

სოფლის გულად, სოფლის საყვარელ ალაგად სოფლის საკრებულოდ და ბჭობის ალაგად გამხდარა ტალახიანი და ბინძური სამიკიტრო დუქანი. ვიღას ახსოვს დღეს ჩვენს სოფელში კვირა, დღესასწაული, ეკლესია, მარხვა, წირვა და ამისთანები? გადაძღვნი სენივით მოედო სოფლებს ქალაქიდან გამოსული ურწმუნოება და ყელ-მოღერებული დასეირნობის იგი სოფლის შეუფხვრელ და გონება უწვრთნელ ახალგაზრდობაში. გალადებული სოფლის ახალგაზრდობა აღარავის აღარაფრად არა სთვლის, არავის არ ეზუება, არაკისი არა სჯერა რა და გარდა ქეიფისა, გარდა სხეულის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისა, არავითარი სათაყვანო, არავითარი სალოცავი და სიწმინდე მისთვის არ არსებობს. ახალგაზრდობა არამც თუ მარტო თითონ გადასდგომია ისეთი პირების ხსოვნას და პატვისცემას, როგორც არის, მაგალითად, ღირსი შიო, სხვებსაც დასცინის და უშლის მის ხსოვნას, მის დღესასწაულზე დასწრებას შიოსიც და სხვა წმინდანების ცხოვრებაც უბრალო ზღაპრებია, ყველა ეს წმინდანები ჩვენისთანა უბრალო და ცოდვით სავსე კაცები იყვნენო, ქადაგობენ ეს ურწმუნო ჯველები. შიო რომ სასწაულთ მოქმედი ყოფილიყო, შიოს რომ რამე მადლი ჰქონოდა, ეხლაც შეგვეწყოდა, ეხლაც მოახდენდა სასწაულს, ეხლაც რამეში გამოიჩინდა თავის ძლიერებასო, მაგრამ როგორც დღესაა უძლეური, ისე წინეთაც უძლეური იყო, წარბშეუხრცვლად ბჭობენ ეს გზა დაბნეული პირები და დიდს განს ცდელში აყენებენ ასეთი კადნიერი მსჯელობით გულ უბრყვლო ხალხს.

ვინ მოგატყუათ, ვინ შეგაცდინათ ვერც სასტიკად, თქვე საბრალონო? ღირსი მამა შიოს ცხოვრება ისეთივე ისტორიული სინამდვილეა, როგორც თამარ დედოფლის ცხოვრება, ერეკლე მეფის საქმეები, ანტონ ქათალიკოზის ნაწერები და სხ. ღირსი მამა შიო რჩეული ქურქელი იყო ღვთის მადლათა, ეს მადლი მოსავდა მას სასწაულთ-მოქმედობით, იგი დღესაც იმდენად სასწაულ მოქმედი, რამდენადაც თავის სიცოცხლის დროს იყო და თუ შენზე ამისთანა გავდენას არ ახდენს, ამის მიზეზი

შენა ხარ. ავიღოთ მაგალითი. ყველამ ვიცით, რომ ქინა უებარი საშუალებაა ციების წინააღმდეგ. მაგრამ წარმოვიდგინოთ ციებით ავადმყოფი, რომელმაც, ნაცვლად იმისა, რომ ქინა დალიოს, გამოახვია იგი ქალაქში და ჩაკეტა სკივრში. რასაკვირველია, სკივრში ჩადებული ქინა ოდნავათაც არ არგებს ავადმყოფს და არ შეუსუბუქებს მას სატკივარს. რა საბუთი ექნება ასეთ ავადმყოფს, რომ ექიმებს დაუწყოს ვვედრება — ცრუები ყოფილხართ, სულ ტყუილათ გიყენიათ ქინა ციების წამლათ, მე მან არაფერში არ მარგო და შეღავათი არ მომცაო. აბა ამ ავადმყოფს მიელო ქინა, აბა ქინა გახ ნილაყო ავადმყოფის კუჭში, მოჰფენოდა სხეულს ძარღვებში მჩქეფარი სასხლის საშუალებით, თუ შეღავათს არ იგრძნობდა. რათ გიკვირს, რომ ღირსი შიო სასიკეთო გავდენას არ ქონულობს შენზე, არაფერს არ გმატებს და არაფერში არა გშველის, როდესაც არ გინდა დაუთმო შენი გული და გონება შიოს მოძღვრებას, შიოს დარიგებას, შიოს სწავლას და შეგონებას? რა უფლება გაქვს ექვი შეიტანო შიოს ცხოვრების კვალზე?

წმ. შიოს სიყრმითგანვე უყვარდა საღმრთო წერილის კითხვა და ამ საგნის შესწავლას ანაცვლებდა ყველა სიამოვნებას. აბა შენც გული დაუდე შენი მცხოვრის, იესო ქრისტეს მოძღვრებას, გაიგე მისი უკვდავი ქადაგება, თუ არ მოგშორდეს უვიცობის სქელი ქერქი, თუ სასარცხვოთ არ დაგიოჩეს დღევანდელი შენი უგუნური ცხოვრება.

ღირს მამა შიოს სწამდა, რომ ღმერთი ხედავს როგორც მის საქმეებს, აგრეთვე აზრებსა და განზრახვებს, ამიტომ იგი ასრულებდა და ფიქრობდა მხოლოდ იმას, რაც ღვთის სურვილს შეესაბამება, რაც საამო და სათნო ღვთისათვის. აბა შენც ასეთი რწმენით გაიმსქვალე, თუ სირცხვილის აღმა არ დაგწვას, რომ აგრე გატაცებული ხარ ქეიფათ, ავხორცობით, არ ერიდები ქურდობას და კაცის კვლას! ღირსი მამა შიო იმას გვასწავლის და გვიქადაგებს, რომ თუ მართლა ღმერთი გწამთ, თუ ნამდვილათ გიყვართ თქვენი გამწენი, თუ

გინდათ, რომ თქვენი ცხოვრებით დაიმსახუროთ უფლის მადლი და კურთხევა, თუ მონდომებული ხართ იესო ქრისტე იყოლიოთ თქვენ შორის და მისი მადლი მუდამ გმოსავდეთ, იქონიეთ ერთი მეორის სიყვარული, ნუ დაივიწყებთ ნურასოდეს ზრუნვას, რომ შეუსუბუქოთ ცხოვრების სიმწარე ქვრივს, ობოლსა, საპყარსა და ბეჩავსა. აბა ყველანი ამ გზას დავადგეთ, თუ დღევანდელი ჩვენი ჯოჯოხეთის მსგავსი ცხოვრება ყოველი სიკეთისა და ბედნიერების წალკოტად არ გადიქცეს. განა სასურველი იქნება კიდევ ვისთვისმე ამაზე დიდი სასწაული, ამაზე მეტი სიკეთე, ამაზე უდიდესი დახმარება?

ძვირფასო მსმენელო! იცოდეთ, გწამდეთ და ნურასოდეს ნუ დაივიწყებთ, რომ უწმუნოების მქადაგებელი, ვინც უნდა იყოს იგი, საერო თუ სასულიერო, სწავლული თუ უსწავლელი, ცხადი და პირდაპირი მტერია თქვენი ბედნიერებისა, თქვენი ცხოვრებისა, თქვენი ადამიანობისა.

გონიერი ადამიანისათვის ურწმუნოება ღვთის მსგავსების დაკარგვაა და უგუნურ ცხოველთა დამსგავსებაა.

ღირსო მამოა შიო! ყელამ განგარისხეთ, ყველამ შეგცოდეთ და დაგივიწყეთ, მაგრამ ნუ მოგვაკებთ საზოგადოროს; შეგვინდე დღევანდლამდე ჩვენ-მეორე ჩადენილი უგუნურება და დღეიდან ჰქმენ ეს შენი ცრემლით მორწყული მღვიმე იმ რწმენის დაუშრეტელ წყაროდ, რომ ქეშმარიტი სარწმუნოება, ნამდვილი ქრისტიანობა, კაცობა და ადამიანობა გამოიხატება ქრისტეს გულისთვის ერთი მეორის სიბრალულ-სიყვარულში, ერთი მეორეს მახურება-დახმარებაში, რომ ურწმუნოება უექველად სიბნელე, სიმწარე და მხოლოდ უგუნური ცხოველობაა. ამინ!

ეპისკოპოსი **ლეონიდი**.



გურია-სამეგრელოს ეპარქიის საჯარო-ბუღალ საძაწის კასისის წესდება.

თუმცა ქუთაისის სამღვდლოებამ კეთილი მაგალითი ვერ უჩვენა სოფლის სამღვდლოებას შესახებ ასეთ კასის დაარსებისა, მაგრამ ჩვენ იმედს არ ვკარგავთ, რომ სოფლის სამღვდლოება, რომელსაც არავითარი მაგალითი და ხელმძღვანელობა არ განუცდია ქალაქის სამღვდლოებისაგან, ჩვეულებრივ საკუთარ საქმიანობის უნარს გამოიჩენს და უარს არ ჰყოფს ასეთ სიმპატიურ და ძმათ-მოყვარეების გამომეტყველ დაწესებულებას, როგორც არის სამარხი კასისა. ამიტომ მეტათ არ მიგვაჩნია, აქვე მოვათავსოთ ერთი ასეთი სამარხი კასისის წესდებათაგანი, რომელიც გურია სამეგრელოს ეპარქიაში მოქმედებს. მოგვყავს ეს წესდება რუსულათ, დაიმედებული, რომ ჩვენი მკითხველები ადვილათ ისარგებლებენ მით ამ ენაზედაც. იმედს არ ვკარგავთ, რომ იგივე სოფლის სამღვდლოება თავის მომავალ კრებაზე ძმობის საქმესაც მოაწესრიგებს და საზოგადოთ დამხმარებელ საზოგადოების დაარსებაზედაც მსჯელობას იქონიებს. ნუ დაივიწყებთ, რომ ჩვენ მოძმეთა შორის ბევრი გვეყვანან დაერლომილნი, რომელთაც ლუკმა პურის შოვნა უჭირთ და რომლებაც ჩვენ დახმარებას თხოვლობენ.



26 Февраля 1910 г. Утверждаю и къ пачечатанію разрѣшаю. Еп. ЛЕОНИДЪ.

УСТАВЪ

Похоронной кассы для священно-церковно-служителей Гурійско мингрельской епархіи.

I. Цѣль учрежденія кассы.

§ 1. Названная похоронная касса учреждается съ цѣлью выдачи единовре-

менныхъ денежныхъ пособій на погребеніе ея умершихъ членовъ.

II. Составъ кассы, права и обязанности членовъ ея.

§ 2. Въ число членовъ кассы обязательно входятъ все священно-иерковно-служители Гурійско-Мингрельской епархіи, а также по желанію и заштатные.

Примѣчаніе 1-е. Въ качествѣ участникомъ кассы могутъ быть принимаемы и служащіе въ Епархіальной Канцеляріи (свѣтскія лица), а также монашествующія лица, занимающія должности настоятелей приходскихъ церквей (миссіонеры).

§ 3. Члены кассы, при переходѣ на службу въ другія вѣдомства или епархіи, могутъ оставаться такими же членами кассы, при условіи, соблюденія всехъ правилъ сего устава.

Примѣчаніе 1-е. Означенные въ § 3 члены кассы обязаны немедленно сообщить Правленію кассы о своемъ желаніи остаться членами ея и снабдить Правленіе точнымъ своимъ почтовымъ адресомъ.

Примѣчаніе 2. Члены кассы, не состоящіе на дѣйствительной службѣ по духовному вѣдомству Гурійско-Мингрельской епархіи, въ случаѣ непредставленія ими членскихъ взносовъ въ 2-хмѣсячный срокъ со дня сдачи на почту требованія Правленія Кассы о представленіи таковыхъ, считаются выбывшими изъ состава кассы.

Примѣчаніе 3-е. Священникъ, лишенный сана или добровольно снявшій рясу не можетъ оставаться членомъ похоронной кассы.

§ 4. Касса считается открытою и начинаетъ свои дѣйствія съ 1 го Января 1909 года.

§ 5. Закрытіе кассы можетъ послѣдовать не иначе, какъ по постановленію Епархіальнаго съѣзда духовенства (²/₃ участниковъ съѣзда), утвержденному Архіереемъ.

Примѣчаніе 1-ое. По закрытіи кассы, весь образовавшійся къ тому времени изъ взносовъ и проц., капиталъ ея распределяется между палач-

ными членами кассы, пропорціонально суммѣ, сдѣланныхъ каждымъ изъ нихъ взносовъ.

III Средства кассы, порядокъ членскаго взноса и выдача пособій.

§ 6. Средства кассы составляютъ:

а) капиталъ оборотный, образующійся изъ единовременнаго взноса въ кассу напередъ на первыхъ четыре случая смерти священниковъ и на 4 же случая смерти псаломщиковъ и б) членскій взносъ по мѣрѣ надобности, т. е. на каждый случай смерти священника или псаломщика.

Примѣчаніе 1-е. Заштатные священники и псаломщики, при поступленіи вносятъ сверхъ этого единовременно въ качествѣ оборотнаго капитала на 10 случаевъ смерти священника и 10 случаевъ смерти псаломщика, а первый членскій взносъ ихъ (на 4 случая смерти священника и 4 случая смерти псаломщика) остается у кассы въ качествѣ запаснаго капитала.

Примѣчаніе 2-е. Протоіаконовъ кафедральнаго собора, какъ въ членскихъ взносахъ, такъ и въ полученіи посмертнаго пособия, приравниваются къ священникамъ, а прочіе діакона, какъ штатные, такъ и состоящіе на вакансіяхъ псаломщика, въ этихъ случаяхъ приравниваются къ псаломщикамъ.

Примѣчаніе 3-е. Священнослужитель, членъ кассы, имѣетъ право получить изъ кассы въ случаѣ смерти у него жены ¹/₃ причитающейся ему въ случаѣ его смерти суммы; и въ такомъ случаѣ, послѣ его смерти его наследники получаютъ остальныя двѣ трети.

§ 7. Въ случаѣ смерти священника, каждый священникъ вноситъ въ кассу членскаго взноса по одному рублю 10 к. (1 р. 10 к.) и каждый псаломщикъ— по 40 коп., а въ случаѣ смерти псаломщика— все члены похоронной кассы вносятъ одинаково по 40 коп.

§ 8. Съ священническихъ взносовъ (1 р. 10 к.) при смерти священника отчисляется по 10 коп., съ псаломщическихъ по 5 коп. на канцелярскія нужды кассы, а вся остальная сумма выдается

семейству умершаго члена кассы, по представлѣніи законнаго удостовѣренія (отъ благочиннаго о смерти члена кассы и вида о личности получателя денегъ).

Примѣчаніе 1-е. Управленія кассы должна имѣться за шнуромъ и печатью Епархіальнаго Архіерея книга для записи членами кассы своихъ завѣщаній на счетъ того, кому послѣ ихъ смерти должны быть выданы деньги на его похороны. Если такового завѣщанія у члена кассы не окажется, то Правленіе кассы выдаетъ деньги эти немедленно вдовѣ, а если у него не окажется вдовы, то дѣтямъ и вообще законнымъ наследникамъ.

Примѣчаніе 2-е. На капиталъ кассы и на пособия, получаемыя семействомъ умершаго члена кассы, никакихъ долговыхъ взысканій не полагается, такъ какъ эти пособия должны служить не для уплаты долговъ, а исключительно—для покрытія расходовъ по погребенію.

IV. Правленіе похоронной кассы.

§ 9. Завѣдываніе похоронной кассой возлагается на Гурийско-Мингрельское Епархіальное Попечительство о бѣдныхъ духовнаго званія.

§ 10. Предсѣдательствующій членъ и казначей Попечительства является и предсѣдателемъ—казначеемъ Правленія Кассы.

Примѣчаніе. Члены Попечительства, съ утвержденія Епархіальнаго Архіерея, могутъ избрать казначеемъ кромѣ предсѣдателя, если къ тому встрѣтится надобность и другое лицо, даже и не члена попечительства.

§ 11. Дѣлепроизводство по кассѣ возлагается на секретаря и письмоводителя попечительства съ выдачею имъ вознагражденія за труды изъ канцелярскихъ суммъ похоронной кассы по постановленію Правленія кассы. Выдается за труды вознагражденіе и предсѣдателю и Казначею кассы, а также секретарю Епархіальной Канцеляріи за труды его по удержанію у членовъ кассы изъ жалованія членскихъ взносовъ соразмѣрно съ понесенными каждымъ изъ нихъ трудами, по опредѣленію Попечительства. Изъ этихъ же

денегъ можетъ быть выдаваемо вознагражденіе и членамъ кассы (Попечительства) за ихъ дѣйствительные труды

Примѣчаніе 1-ое. Для дѣйствительности засѣданія Правленія похоронной кассы необходимо присутствіе 3 членовъ Попечительства.

Примѣчаніе 2-ое. Дѣла въ Правленіи рѣшаются по простому большинству голосовъ; постановленія Правленія утверждаются Епархіальнымъ Архіереемъ.

§ 12. На текущій расходъ у казначея могутъ храниться на рукахъ только до десяти рублей, а всѣ остальные суммы должны храниться по книжкѣ въ сберегательной кассѣ при казначействѣ.

§ 13. Къ обязанностямъ Правленія принадлежатъ: а) завѣдываніе всѣми дѣлами кассы, б) наблюденіе за надлежащею уплатою членами взносовъ, в) своевременная выдача изъ кассы похоронныхъ пособій, г) веденіе приходо-расходныхъ книгъ, д) распоряженіе о приобрѣтеніи на могущія поступить пожертвованія проц. бумагъ и продажъ ихъ, равно помѣщеніе суммъ свободныхъ въ банкѣ на проценты, е) составленіе годовыхъ отчетовъ о дѣйствіяхъ кассы и ж) забота объ интересахъ кассы.

§ 1. Правленіе похоронной кассы пользуется печатью Гурийско-Мингрельскаго Епархіальнаго Попечительства о бѣдныхъ духовнаго званія.

V. Ревизионная коммисія.

§ 15. Къ 1-му марта слѣдующаго за отчетнымъ года Правленіе составляетъ отчетъ объ операціяхъ кассы за истекшій годъ, который провѣряется Ревизионной коммисіей и, по утвержденіи Епархіальнымъ начальствомъ, представляется на разсмотрѣніе съѣзда духовенства и затѣмъ печатается для разсылки о. о. благочиннымъ по епархіи, на предметъ

ознакомленія съ состояніемъ кассы духовенства

Примѣчаніе. Ревизія по дѣламъ похоронной кассы можетъ быть произведена и по усмотрѣнію Епархіальнаго Архіерея, или же Епархіальнаго съѣзда, если ими будутъ получены свѣдѣнія о неправильныхъ дѣйствіяхъ по кассѣ или о нарушеніи ея устава.


§ 16. Обязанности Ревизіонной комиссіи по похоронной кассѣ возлагаются на существующую при Гурійско-Мингрельскомъ Епархіальномъ Попечительствѣ о бѣдныхъ духовнаго знанія ревизіонную комиссію.

Примѣчаніе. Члены Попечительства и, слѣдовательно, члены Правленія похоронной кассы, не могутъ быть одновременно и членами ревизіонной комиссіи.

§ 17. Ревизіонная комиссія въ концѣ каждаго полугодія обязательно провѣряетъ правильность веденія прихода и расхода денежныхъ суммъ кассы, вѣрность записей ихъ въ книгахъ и наличность какъ процентнаго капитала по кассовымъ книжкамъ Государственнаго Казначейства, такъ и денежныхъ суммъ, хранящихся у казначея, и заключенія свои излагаетъ въ особыхъ протоколахъ представляемыхъ Епархіальному Начальству.

Примѣчаніе 2-ое. Вмѣстѣ съ годичнымъ отчетомъ Правленія кассы, ревизіонная комиссія заключенія свои по веденію операціи похоронной кассы представляетъ Епархіальному съѣзду Гурійско-Мингрельскаго духовенства.

Примѣчаніе 2-ое. Ревизіонная комиссія и во всякое время, по своему усмотрѣнію, можетъ произвести ревизію денежныхъ суммъ похоронной кассы.



სინამდვილე სახარებისა.

(გლადკოვიძან)

ესე უოკელი დაწერა, რათა გრწმენეს, რამეთუ ესეა არს ქრისტი, ძე ღვთისა. (ის. XX 31).

(გაგრძელება).

მარკიონი დაიბადა მეორე საუკუნის დასაწყისში ქ. სინოპში, სადაც მამა მისი ეპისკოპოსად იყო; იყო მღვდელი სინოპის ეკლესიისა და მწვალებლობისათვის განკეთილ იქმნა მამისაგანვე. წმ. ირინეოსის მოწმობით იგი ამახინჯებდა ლუკას სახარებას, რომლისგანაც უნდოდა გამოერიცხა მოთხრობა ქრისტეს ხორციელ დაბადებაზე (ირინეოსი წ. I თ. XXV, 2). ხოლო ტერტულიანეს მარჯიონის წერილიდან მოჰყავს შემდეგი ნაწყვეტი, რომელიც ამტკიცებს, რომ მარკიონმა კარგათ იცოდა მათეს და ლუკას სახარებები „განმავრთ თვალთაგან ჩემთა, ამბობს იგი, ეს მკაცრი ბრძანება კეისრისა (ლ. II, 1), ეს საცოდავი სასტუმრო, ეს სახვევლები, ეს მოუსვენარი ბავა (ლ. II, 7); და, ამ ანგელოსთა სიმრავლემ მიაგოს პატივი ღმერთსა თვისსა, და ნუ გაიტაცებს მას ღამის მოჩვენებანი (ლ. II, 13 და 14). უნჯობესია მწყემსნი დარჩენ თვისთა ცხოვართათანა (ლ. II, 8, 15—27). თავს ნუ იწუხებენ მოგვები შორი გზით; მათი სიმდიდრე მათთანვე დარჩეს (მტ. II, 1 და 11), დაე იროდიმ გამოიჩინოს მეტი კაცთმოყვარეობა, რომ ისაია არ ამპარტავნობდეს თავის წინასწარმეტყველობით (მტ. II, 16—18). საჭირო არ არის წინადაცვეთა, რომ ყრმამ არ იტიროს (ლ. II, 21). არ არის საჭირო მისი ტაძრად მიყვანება, რათა ხარჯი არ მოუვიდეს სხვერპლის შეწირვისთვის, ნუ აძლევთ მას ხელში სიმეონს, რომ მიხრწნილ მოხუცს ხელიდგან არ გაუვარდეს იგი. გააჩუმეთ ეს გადაბერებული წინასწარმეტყველი ქალი, რომ

არ მოაკულიანოს ყმაწვილი“. (ლ. II, 22—38). როცა ეს წერილის ნაწყვეტი მოჰყავს, ტერტულიანე ხმობს: „აი როგორი ჩმახვით (უმცობაზე) კადნიერობ შენ, მარკონ, უარპყო სარწმუნო საბუთები ქრისტეს კაცობრიობისა!“ (იხ. ქმ. ტერტულიანესი თარგ. კარნევისა ნაწ. 3 გვ. 2—3). ამიტომ უნდა აღვიაროთ, რომ მარკიანემ იცოდა სახარება მათესი და ლუკასი.

ცელსი, წარმართი ფილოსოფოსი ანტონინის და მარკოს ავრელის დროისა; ამან მეორე საუკუნის ნახევარში დასწერა შესანიშნავი თავის სიმძულვარით ქრისტეს მიმართ თხზულება „ქეშმარიტი სიტყვა“.

მიუხედავად სასტიკი დევნულებისა ქრისტიანეთა რიცხვი თანდათან იზრდებოდა: ვერც კოცონებმა, რომლებზედაც ათასობით სწავედენ მათ, ვერც მხეცებმა, რომლების ლუქმათ ხდებოდენ ისინი ციკში, ვერ შეაბრკოლეს ლტოლვილება მათი ქრისტეს მიმართ. ეს ყოველად გაუგებარი, აშპარტავან რომაელთათვის, გამარჯვება სახარების მოძღვრებისა აფიქრებდა მათ ძლიერ რომის სახელმწიფოს მომავალ ბედ-იღბალზე. მარკოს ავრელი შეაგონეს, რომ ქრისტიანები უარს ამბობენ, დაეხმარონ მას შტრების მოგერებაში, რომ თუ ასე გაგრძელდა, მალე ყველა შემოეცლება, იგი მარტო დარჩება და სახელმწიფოს ბარბაროსები დაიპყრობენ. და რომ რომის იმპერიის ძლიერებისა და ქველობის აღდგენისათვის დარჩენია მხოლოდ ერთი საშუალება—მოსპობა მთელი ქრისტიანობისა. ასეთ ბეზღობის გავლენის ქვეშ მარკოს ავრელმა ბრძანება გასცა ქრისტიანები ეძებნათ და ყველა სიკვდილით დაესაჯათ, ხოლო მათი მამულ—დედული მიეცათ მამბეზლართა და მამბეზართათვის. შედეგი ამ მხეკური განკარგულებისა საშინელი იყო. მაგრამ ფილოსოფოსი ცელსი სიხარულით ფეხზე აღარ იდგა და ამბობდა: „დემონი ქრისტიანებისა იდევნება ყოველი მხრიდან, და მოსაენი მასნი ბორკილ შეყრილი მოჰყავთ და აკრავენ სვეტებზე, ხოლო დემონი ესე ანუ, როგორც შენ ამბობ, ძე ღვთისა შურს არ იძიებს.“

მაგრამ იგივე ცელსი კარგათ გრძნობდა, რომ სასტიკი დევნა ეხლაც ვერ მიადწევდა თავის მიზანს და ამიტომ საჭიროთ დაინახა გამოსულიყო ქრისტიანების წინააღმდეგ სხვა იარაღით, თავის თხზულებით „ქეშმარიტი სიტყვა“. ეს წიგნი მთლად არ მოსულა ჩვენამდის, მაგრამ ცნობილი შეიქნა ორიგენის წყალობით, რომელსაც თავის თხზულებაში „რვა წიგნი ცელსის წინააღმდეგ“ მოჰყავს იქიდან მრავალი სიტყვა—სიტყვითი ამოწერილობა.

ქრისტიანების წინააღმდეგ საბრძოლველად ცელსი სარგებლობდა ებრაელების სიმძულვარით მათ მიმართ და ყოველგვარ სიცრუით და ცილისწამებით, რომელსაც ებრაელები ავრცელებდენ ესო ქრისტეზე, ხოლო საბრძოლველ მასალას ღებულობდა ჩვენი სახარებიდან.

უეჭველია, რომ მან იცოდა: 1) **სახარება მათესი**, მიტომ, რომ ლაპარაკობს ყველა შემთხვევებზე, რომელიც მოთხრობილია ამ სახარების პირველ ორ თავში და რომელზედაც დანარჩენი მახარებლები არას აწბობენ, როგორც მაგ. გამოიხიება ვარსკვლავისა, რომელიც უძღოდა მოგვებს, მოგვებს თაყვანისცემა და ძღვნის მიზთმევა, იროდის დევნულება, ანგელოსის გამოცხადება და იოსების გაფრთხილება, იესო ქრისტეს ეგვიპტში მყოფობა; მას მოჰყავს ბევრი აღვილები მთაზე საუბრიდან, მოგვითხრობს მოციქულების მოწოდებას და იწერს მაცხოვრის საკუთარ სიტყვებს: „**რაჟამს გდევნიდენ თქვენ ამიერ ქალაქით, მიივლტოდეთ სხვად**“. (X, 23), იხსენიებს იუდას გამცემლობას, პეტრეს უარყოფას, იესო ქრისტეს ლოცვას გეთსამანაში — **მამაო ჩემო, უკეთუ შესაძლებელ არს, თანაწარმხედინ მე სასუმელი ესე** (XXVI, 39), სასმელს ძმრითა და ნაღვლით აღზავებული, რომელიც მიაწოდეს ჯვარზე დამოკიდებულ მაცხოვარს, სიბნელესა, მიწის ძვრას მის სიკვდილის დროს, და მრავალ ბევრ სხვა შემთხვევებს, როგორც აწერილი აქვს იგინს მათეს; 2) **სახარება მარკოსის**, მიტომ რომ გადმოგვცემს კერძო შემთხვევას, რომლის საფუძველს ის იპოვიდა მხოლოდ ამ სახარებაში:

ის ამტკიცებდა, რომ ვითომ აღდგომილი ქრისტე ნახა მხოლოდ ერთმა ქალმა, „შეშინებულმა და გამოშტერებულმა“. ასეთი პასუხის გება მას შეეძლო დაემყარებია მარკოსის სახარების მხოლოდ ერთ ადგილზე: „**რამეთუ იგინი შეძრწუნებულ იყვნეს და დაკვირვებულ**“ (XVI, 8). 3) სახარება ლუკასი,—მიტომ რომ ერთ ადგილას უსაყვედურებს თვისტომობის ამწერთ, რომლებსაც იესო ქრისტეს შთამომავლობა აჰყავთ ადამამდის,—განსხვავება რომელიც ეკუთვნის განსაკუთრებით ლუკას სახარებას (III 23—38) და 4) სახარება იოანესა, მიტომ რომ მოიხსენებს სწავლას სიტყვაზე, რომელიც არის ძე ღვთისა. ამბობს, რომ მისი განგმირული გვერდიდან გარდამოხდა სისხლი და წყალი, უწოდებს მას ნათელსა და ცხოვრებას,—იგივე კერძობითი განსხვავებანი, რომელიც ეკუთვნიან მხოლოდ იოანეს სახარებას (კრებ. ბარსოვისა I, 51).



კარგი—ყოველგან კარგია.

(რუსულიდან).

კაცი, რომელიც ფეთხს სიმათლეს ეძებს, უნდა ეძებდეს და სედავდეს მას ყოველგან, სადაც უნდა იყოს.

ასეთი კაცი მიემსგავსება აღმოსავლეთის თქმულებას იმ კეთილ გონიერ კაჭარს, რომელიც ყოველგან მოთმინებით ეძებდა ობოლ მარგალიტს და, როცა სიკვდილმა უსწრო, მწუხარება იწყო იმაზე, რომ მან მთელი თავისი სიცოცხლე დაღია, ხოლო ის მარგალიტი, რომელსაც ეძებდა, რომ თავისი ოჯახობა უზრუნველ-ყოფილი დაეტოვებია, ვერ იშოვა. მას გამოეცხდა ანგელოსი და უბრძანა დაფიქრებული იმაზე თუ ამ ძებნის დროს მან რა ნახა კაჭარი დაფიქრდა, და, როგორც ყოველთვის ხდება, სიკვდილის წინ რადენიმე წუთის განმავლობაში ნაწილ-ნაწილად თვალ-

წინ წარმოუდგა ყოველივე. რასაც ის ავსრულებდა. დაინახა თუ არა ეს ყოველგან ერთად, მას ისე გაეხსრდა, რომ შირისხემი გაუღიმა და შეეკედრა ღმერთს, რომ ნება მიეცა მისთვის, რამდენიმე საათი კიდე ეცოცხლა და ყოველივე ეს მთელად გადაეცა თავის შვილებსთვის. მაგრამ სამარადისო აწსებად უთხრა მას, რომ თუ იგი კხლავე გადასცემს ყოველივეს, ხელახლა გაფანტავს იმის მიერ შეგროვილ ნაწილებს,—არა, უმჯობესია ის სელახლა დაუბრუნდეს სიცოცხლეს არა თუ რამდენიმე საათით, არამედ რამდენიმე წლით და ეს სავიარკველი ნაწილებსაგან შემდგარი მარგალიტი მთელ ქვეყნიერობას ჩააბაროს.

ქრისტიანული სწავლა უნდა იყოს სრულიად თავისუფალი, და არავისთვის საწყენი არ უნდა იყოს, რომ მას შეეძლოს ყოველგან ძებნა ჭეშმარიტების იმ სავიარკველ ნაწილ-ნაწილებსა, რომლებითაც მდიდარნი არიან მტუართველნი თავთა შორის თავისთა ღვთისა ცხოველისა, რომელს სარწმუნოებასაც უნდა ეკუთნოდნენ იგინი.

რადგან ეს ნაწილები ხანდახან სავიარკველად წმინდანი და სავიარკველად დამწესკვლანი და აღმზრდელნი არიან.

ეს ნაწილები უმეტეს ყოველისა მიწმობენ რომ ღმერთი ყოველგან—ყოველ ადგილზე ერთია; რომ იესო ქრისტი არას ჭეშმარიტი, მხოლოდ შობილი ძე ღვთისა; რომ სული წმიდა, რომელიც მამისაგან მომავლს, სიცოცხლეს აძლევს, ხელმძღვანელობს—გზას უჩვენებს და ადავსებს ყოველსავეს და ყოველ ღვთის მოწმუნეს და სხვ. და სხვ.

რომ ჭეშმარიტება—ყოველგან ჭეშმარიტებაა, რა სამოსლით, რა ტანსაცმელათაც უნდა შემოსო იგი.

მე ბევრი კაცი ვიცი, რომლებიც თავანთ ცაცობრივ სისუსტის გამო მხოლოდ იმიტომ იდრეკენ მუხლს ჭეშმარიტების წინაშე, რომ ამ ჭეშმარიტებას მოულობდნენ ყოველ რეულში, ყოველ სარწმუნოებაში.

ხოლო რა გასასარკელი და სასიამოვნო უნდა იყოს კაცისათვის, როცა იგი თავის დღამატს თავის სულით და ჭეშმარიტებით ღვთისადმი სიყვარულს მოულობს სხვა და სხვა სარწმუნოებაში.

მამის აღმავანი გრძობის გულში და სულში განუსაზღვრელ სიხარულს, განუსაზღვრელ სიხარულს და სიხარულს, რომ მისი სარწმუნოება ეტყვის გარეშე, რადგან მისი ნაწილები, როგორც მისი სხივი, ნათლად გამოისხივან სხვა სარწმუნოებაშია, სხვა რწმუნებშია.

ჩემ წინ ძველი რომელი უფროა და ერთი წიგნი, — რომელიც მართლ-მადიდებელ ქრისტიანულ რწმუნებისთვის წარმოადგენს უცხო — არა თანაზარტ გამოცემას: ერთი მათგანი არის გამოცემა რუსთა „ბაბტიისტიკისა“, მეორე არის გამოცემა რუსთა „ეკანგელისტებისა“ და მესამე — რუსთა „სტარობრადელებისა“, — და იგი, რომ იმათი არიან ისეთი საგნები, რომ სარბად მინდა გაუწიო ისინი მთელ ქვეყნიერებას? რატომ?, — იმიტომ რომ ისინი არიან — ჭეშმარიტები; — ნაწილი იმ ძვირფასი მარგალიტისა, რომელიც გრძობის სურვილმა დაამტკიცა მატარ-მატარ ნაწილებად, — ეს ნაწილები თითოეულმა თავის გემოზე მოაწესრიგა, და გაფანტა ისინი ცხოვრების ზღვის მორევი, სადაც დარჩებიან იმ შესანიშნავ დროში, როცა მოკვდიდებიან ამ სოფლისა; ის შეკრებს ამ ნაწილებს და შექმნის ერთ მთელ მარგალიტად — და იქნება „ერთ სიმწესო და ერთ მწვერული“.

ამ სათაში მე ვგითხულობ ერთ ამერიკელ ვეჭვიანს უკვლად ურწმუნო, მატრიარქალისთვის ფილანდელი მონაზონისა და პირად მოწმობას, („ქვეყნიერება და ღმერთი ამ ქვეყნისა), რომელმაც განისაზღვა ქრისტიანული მოძღვრება და შეიქმნა მეტად გულს-მოდგინე და მეტად გულწრფელი აღმსარებელი ქრისტიანი.

მე რას დაგეგ, რომ ის შეიქმნა „ბაბტიისტიკისა“, ანუ „ეკანგელისტისა“, ჩემთვის ის არის გასაზრდელი, რომ მატრიარქალისტი, ურწმუნო, შეიქმნა ქრისტიანული მოწმობა, რომ ის საჭეუნიოდ ნანობს წინანდელ შეცდომილებას და ამას ვუვლას ეუბნება.

რადგან წავლავ, ზნეობრივი გასაჭირი გამოიწვია მის სანამ მადწეკვდა მას, რაც მე მომცეს ჩემს ეკლესიამ, ჩემს მშობლებმა, ჩემს მასწავლებლებმა, ჩემს აღმზრდებლებმა.

ეს კიდევ არაფერია, ამ გრძობის ცხოვრებას, რომ უგვირდებო და ვამხნევე, რომ მის მიერ განცდილნი მოკვლენი განუფიქროთ ბევრ სხვა აღმანებებს,

რომელნიც ან სასოწარკვეთილებაში ჩავადინებ, ან თავი მოუკლავთ, — მე გამტკიცებ, რომ ურწმუნონი განიცდიან ერთნაირ ტანჯვა-წვალებას.

და რომ ესედავ ერთ განიკურნა მორა, — მე კიდევ უფრო მტკიცებ, უფრო დარწმუნებით — ურწმუნო ფილანდელი მონაზონის წამალზე, ვინადაც მე მაქვს ცოცხალი მაგალითი, ცოცხალი შემთხვევა.

განა ელჭირვებით ავადმყოფი, როცა მას ეს სენი აღწიბოს, როცა ის გრძობს სასიკვდილეს სუნთქვას, — დაუწეებს ექიმს ეითხვას: საიდან იშოვნა მან ასაცირი შრატა: კურდღლის ბაჭები-დგან, ცხენი-დგან, თუ სხვა ცხოველი-დგან?

მას უნდა სიცოცხლე, მას უნდა შემწეობა, მას უნდა წამალი.

როცა კეთილ გონიერი ჯვარცმული ავანავი მიუბრუნდა ჯვარცე მაცხოვრის სიტყვებით: „მომისხენე მე, უფალა, სასუფთველსა შენსა“, — განა ქრისტიანული დაუწეო მას გამოკითხვა: საიდან ხარ, რა გზით მოსულხარ, რისთვისა, როგორ მივიდა მასთან და სხვა და სხვა?

მან მოწმობა უთხრა მას: „დღეს ჩემთან იყო სამოთხესა შინა“.

ჩვენ, ძველი ცრუი ჩვეულების გამო არ უნდა განუშორდეთ ვარგს, არ უნდა ვკრათ სული მას არ უნდა განკარგოთ ჩვენგან ის, რაც, შეიძლება გატალახიანებული იყოს, მაგრამ ნაწილია იმ დიდი მარგალიტისა, რომელიც იწოდება ქრისტიანული სწავლად.

განვიხილოთ, რას მოგვითხრობს თავის თავზე ფილანდელი მონაზონი:

მე ვიცან უფალი იყო ქრისტი 24 მაისს 1903 წელს, როცა მე ვიყავი 44 წლისა, იმ დროს მე სავსებით არ მესმოდა, რა მოხდა ჩემში იმ დღეს, და მხოლოდ შემდგომ საღვთო წერილის შესწავლით გავიგე, რომ მადლითა დეითასათა, სარწმუნოებისა მიერ მისი მისი, მე ვიყავი მამის განცხოვრებული (ეფეს. 2, 2) და გარდაიცვალე სიკვდილისაგან ცხოვრებად. (იოან. 4, 24).

წინა წლებში ქრისტიანული აღსარებას ფორმალურად შეუბოძრად კერძობადი და გვერდს უვლიდი, ჩემ სულში გაძეებული იყო მხოლოდ ერთი მისწრაფება: დამეკმაყოფილება მხოლოდ ჩემი „მე“, ჩემი ნდობა და სურვილები; და ყოველ ჩემ ძალ-ღონეს ეხმარებოდა მომეპოვება და გამე-

მრავლებს ამ სურვილის დასაკმაყოფილებელი სა-
შეალებანი, აქედან შე არ კრიცხვ ზრუნვას ზემ
სახლობაზე, რომელიც უკვე აღა, მოვლიდა შე
შეწავლობდა ქმრად და მამად, რადგანაც, ზემა აზ-
რით, ისინიც შეადგენდნენ ზემ საკუთარ „შე“ს.

არხიმანდრიტ ნესტორ.

შემდეგი ქნება.



დაზარებულთა შემწეობისათვის.

როგორც ზეენ მკითხველებს უკვე ეცო-
დინებანთ, წუგლდილობამ დიდი ზარალი
მიუყენა ფოთის მახლობლად მდებარე
სოფლებს. აზვირთებულმა რიონმა რამო-
დენიმე სოფელი წაღება და ორასამდე მუტი
კომლი უღუკმით დასტოვა. საცოდავები
დიდ გაჭირვებას განიცდიან თურმე
უსახლ-კარობისა და შიმშილობისა კამო.
ამას ისიც დაუმატეთ, რომ საცოდავებს
სამუშევარი საქონელი და იარაღიც აღარ
შერჩენიანთ, რომ მოძავლი მოსხვლით
ძანც ინუკემონ თავი. ასეთ გაჭირვებ-
ში მუთუ მოძმეს ხელის გაწვდა და დას-
ძარება უნდა, რომელშიდაც სამღვდელო-
ებამ უნდა ქეზენოს მაგალითი. კარდა
იძისა, რომ თვით შეეწევა შეძლებისა-
მებრ, სამღვდელოება სამწესოსაც კამო-

ზღებინებს ცოტ-ოდენ წუგლიას, თუ ცო-
ტა შრომას მისცევს თავს. ქუთაისის გუ-
ბერნატორმა ბ. სლავოჩინსკიმ თვითონ
დაათვალიერნ დაზარალებული ადგილე-
ბი და ცალკე მოწოდებით მიმართა სა-
ზოგადოებას, რომელსაც სთხოვეს დახ-
მარებას. შეწირულების ვაშოვზუნა შე-
იძლება თვით ბ. გუბერნატორის სახელ-
ზე, მის კანცელარიაში.

რედაქციაც მზათ არის მიიღოს უო-
კვლეგარი შეწირულება და გადასცეს და-
ნიშნულებისამებრ. შემომწირველთა ვი-
ნაობა და შეწირულობის რაოდენობა გა-
მოცხადებული იქნება ვახეთის საბუჯა-
ლებით.

წერილი რედაქციის მიმართ:

მამო რედაქტორო!

თქვენი პატრიკეული გაზეთის საშუალებით
შევიტევი ვან, სად და როგორ იდღესასწაულა
წრეულს თოთხმეტი ანკარი.

მაგრამ სამწესაროთ, კერ გავიგეთ, აქ რო-
გორ იდღესასწაულეს ეს დღე, სადაც ეს გაზეთი
იბადება ე. ი. ქ. ქუთაისში? იყო რითიქე ეს დღე
განსხვავებული უბრალო დღისაგან, სწორეს ამ
დღეს ქუთათურმა მამებმა*), სთქვეს რამე ამ წმი-
დანზე და მის მოღვაწეობაზე და სად დაიბეჭდა
ეს მათ მიერ ნათქვამი სიტყვა? თუ მანდაურა მა-
შებიც თბილისელ მამებავით გულ-ხელ დაჭდობალ-
ნი იყენენ ამ დღეს და საწუთოზე ფიქრობდნენ?

* სახეში მისაღები არ არის წმ. ნინოს ხვედენია.

თქვენი არ ვიცით, რას მომწერო და აი მე ურთმა სეშმა ასლო ნაცნობმა რა გადმოძრა: „სხვა კვლევების არეილა და ეს ვი ნამდვილთ ვიცი, რომ ამ დღეს პეტრე-პავლეს უკვლავიაში არაკითხი წირვა არა უფიქრო და ე-დ სამდვედლო ღეონილის მიერ შეწირული წმიდა ნახოს ხატი, რომელიც სწორეთ ამ დღესასწაულის აღსანიშნულათ შესწირა. ნაცვლად იმისა, რომ იგი ამ დღეს ანალოლიაზე სვენუელიყო, სადღარ მადლა, შკაფის თავზე, ესეგნა მტკაერშია. თუ ეს მართალია, ვაშა მათ მღვდელობასა“!

№

პასუხი ის. ამავე ნომერში სტ. რასა შევდა მწერი ხესა.

რედ.



რედაქტორი, მღვდელი სიმონ მკედლიძე.
გამომცემელი იოსებ ლეჟავა.

ბანსხალუბანი.

იოსებ ხელაძის

სტამბა

ქუთაისში

ღებულობს ეფექტურ სისტემა საქმეებს:
რუსულს, ქართულს და აგრეთვე ვერ. ენებზე.

საქმე სრულდება სუფთად და **თავის დროზე**



დაიბეჭდა და იყიდება „შინაური საქმეების“
გამოცემა

შემდეგი წიგნაკები:

თავის დღეობა

არა კას-კლს.

რუსულიდან გადმოთარგმნილი.

ფასა ერთი მარკა.



მოსსენება

პროფესორ ა. ყავერელისა.

ნათარგმნი

სინოდის ორგანის „Церковныя Ведомости“-დან.
1906 წლ.

მოწმობანი მე XVII—XVIII სსუკ. ოფიციალურ
მიწერ-მოწერებისა საქართველოს (იკრიის)
ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ.



„შინაურ საქმეები“-ს რედაქციაში იყიდება:

კლიკოცის უწყებები ახალი ფორმისა და ყველა უწყებები (вѣдомости) წლიური სა-
ბლალოჩინო ანგარიშებისათვის. ბლანკები „ძმობის“ გამოცემა და ფულიც მას ეკუთვ-
ნის. ფასი ბლანკებისა — რწვილი 5 კპ. ვინც ორასზე მეტს დიობარებს — 4 კპ.

ხვედრი ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Кутаисъ, Правленіе религиозно-
Просвѣтительнаго „братства“.

Ольденбургская д. № 5.



ОТКРЫТА ПОДПИСКА НА 1911 ГОДЪ.

Торговое Дѣло

Въ темені 1911 г. подписчики получаютъ:

52 №№ газеты, объемомъ отъ 4 до 8 стр., съ точными цѣнами на всѣ
товары (свыше 5000 названій), существующія во всѣхъ глав-
нѣйшихъ городахъ, съ указаніемъ на ожидаемое пониженіе или повышеніе
ихъ, съ курсами на фондовыя бумаги и другими извѣстіями.

24 №№ журнала въ обложкѣ, объемомъ отъ 32 до 64 ст. по програм-
мѣ: 1) Руководств. статьи, касающіяся: а) Разработк. естествен-
ныхъ богатствъ Россіи и устройства прибыльныхъ фабрично-заводскихъ
предпріятій, б) Веденіи и организациі торговыхъ и промышленныхъ дѣлъ по
новѣйшимъ методамъ торговли; в) Распространеніи товаровъ; г) Привлеченіи
покупателей; и д) Всевозможн. видовъ рекламы; 2) Препты и смѣты на устрой-
ство магазиновъ, лавокъ, фабрикъ и заводовъ съ практическими указаніями
для неопытныхъ людей; 3) Совѣты и указанія на всевозможные случаи изъ
богачаго опыта западно-европейскихъ и американскихъ коммерсантовъ;
4) Отвѣты на запросы подпичниковъ; и 5) Всевозможныя торг.-пром. оцѣднія.

6 книгъ 1) Указатель главнѣйшихъ фабрикъ и заводовъ всей Рос-
си (около 20000 адресовъ), цѣна въ отдѣльности 2 р. 50 к.;
2) Указатель заграничныхъ покупокъ русской продукции (около 6000
адресовъ), цѣна въ отдѣльности 1 р. 50 к.; 3) Руководство для таксировки
грузовъ по ж. д. (2 р.); 4) Указатель готовыхъ провозныхъ платъ на всѣ
товары (1 р. 75 к.); 5) Указатель готовыхъ разстояній отъ главнѣйшихъ го-
родовъ во всѣхъ ст. ж. д. и обратно (1 р. 50 к.); 6) Искусство продавать (50 к.).

**Подписная цѣна на годъ,
на газету, журналъ и книги** **6 Р.** БЕЗЪ **4 Р.**
съ правомъ полученія возмозможн. справ-
комъ и отѣннаго справочнаго календаря.

Въ конторѣ „Торговаго Дѣла“ продаются:
Адресная книга „Вся Европа“ объ-
момъ ок. 500 стр. — 3 р. 75 к.; Руко-
водство „Искусство Рекламировать“
— 50 к. Оба изданія вмѣстѣ съ га-
зетой, журналомъ и книгами на
1911 г. высылаются за 8 р. Жела-
ющіе получить еще и журналъ за
1910 г. (стоющій въ отдѣльности
2 р. 50 к.), адресную книгу „Указа-
тель Всей Россіи“ объемомъ въ
500 стр. (2 р. 50 к.) и Указатель
Таможенныхъ Пошлинъ (1 р. 25 к.)
уплачиваютъ 12 р. Первые 2 или
всѣ 3 изданія высылаются налож.
платъ, со вклуч. подписки на 1911 г.
на 8 руб. 25 коп. или 12 руб. 20 коп.

Ред. Изд. Секретарь Гюфтъ Макара Одесской Биржи Э. С. Галлеринъ.
Обращаться въ к-ду жур. „Торговое Дѣло“, Одесса, Соборная, 2-1

НА ГОДЪ — 4 Р. СЪ ПРИЛОЖ. — 6 Р.

ИЗДАНИЕ ГОДЪ № 5

5-й ГОДЪ ИЗДАНИЯ.



(Типографія Хеладзе въ Кутаисѣ.)